საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030181330780519

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/15310 **29 / აგვისტო / 2019 წ.**

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო
მდივანს ქალბატონ ნათია მიქელაძეს

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოზიციას საქართველოს მთავრობის ელექტრონულ პროგრამაში № 32093 წარმოებით ატვირთულ „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის/ორგანული კანონის პროექტებზე.

1. „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, ყოველწლიურად, ახორციელებენ სხვადასხვა სოციალურ პროგრამებს და აწესებენ სოციალურ შეღავათებს. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონპროექტის წარმოდგენილ რედაქციაში (პირველი, მე-2, მე-4, 22-ე და 24-ე) კვლავ დარჩეს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები/ფუნქციები და შესაბამისად, ამოღების ნაცვლად, ჩანაცვლდეს ტერმინით „მუნიციპალური ორგანოები“;

ბ) მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამოღებულ იქნას „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

2. „<u>საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ</u>“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით გაგვაჩნია მსგავსი ტიპის მოსაზრება ტერმინოლოგიასთან მიმართებაში. კერძოდ, კანონპროექტის წარმოდგენილ რედაქციაში (მე-2 და მე-5 მუხლები) ტერმინები „ადგილობრივი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“ ამოღების ნაცვლად, ჩანაცვლდეს შემდეგი ტერმინებით: „ადგილობრივი“ – „მუნიციპალურით“/„მუნიციპალიტეტის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“/„სხვა ტერიტორიული ერთეულები“ - „მუნიციპალიტეტებით“. შესაბამისად, ამოღების ნაცვლად, უნდა დაკორექტირდეს კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

3. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთ საექიმო სპეციალობაში და ცალკეულ რეგიონში მომუშავე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისათვის ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები აწესებენ ხელფასზე დანამატებსა და სხვა შეღავათებს, საცხოვრებელი ფართობისა და სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფის ჩათვლით“, შემოთავაზებული ცვლილების თანახმად კი, „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთ საექიმო სპეციალობაში და ცალკეულ

რეგიონში მომუშავე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისათვის ცენტრალურ ორგანოებს შეუძლიათ დააწესონ ხელფასზე დანამატები ან/და სხვა შეღავათები, საცხოვრებელი ფართობისა და სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფის ჩათვლით“. შესაბამისად, შემოთავაზებული ცვლილებით, აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებას, რაც, ვფიქრობთ, არამართებულია, მით უფრო, რომ ხსენებული არ აწესებს ვალდებულებას შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია, აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთ საექიმო სპეციალობაში და ცალკეულ რეგიონში მომუშავე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისათვის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ, დააწესონ ხელფასზე დანამატები ან/და სხვა შეღავათები, საცხოვრებელი ფართობისა და სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფის ჩათვლით“.

4. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის თანახმად, 36-ე მუხლი:

ა) მართებულად მივიჩნევთ, უცვლელი დარჩეს მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტი, სადაც კონკრეტდება, რომ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ პირთა მიერ ამ კანონის მე-5 მუხლის 3^1 და 3^2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

როგორც მოგეხსენებათ, ,,ი“ ქვეპუნქტის აღნიშნული დეტალიზაცია კანონში განხორციელებულია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით (24 ივნისი 2016 წ. N5571-IIს), რაც უკავშირდებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლს. შესაბამისად, მოცემულ ეტაპზე, პუნქტის ხელახალი რედაქციით ჩამოყალიბებისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, იგი კვლავ შეიცავდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, ზემოხსენებული აქცენტირებითა და კონკრეტიკით;

ბ) პროექტის მიხედვით, ამოღებულია „ი“ ქვეპუნქტი („ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება). „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში მონაწილეობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ერთეული (საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ერთეული – საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს საქმიანობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში). შესაბამისად, 36-ე მუხლიდან აღნიშნული პუნქტის ამოღება არამართებულად მიგვაჩნია.

5. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ ადგილზე სანიტარული დაცვის ზონების საზღვრების დაფიქსირების უფლებამოსილების განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას, ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვერ დავეთანხმებით ზემოაღნიშნული ფუნქციის სამინისტროსთვის განსაზღვრის შემოთავაზებას, შემდეგ გარემოებათა გამო: ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ,,მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოა შესაბამისი სამინისტრო/სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება, რომლის უფლებამოსილების დელეგირებაც განხორციელდა კანონის შესაბამისად ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შესაბამისად“, აქედან გამომდინარე, დარგობრივი ზედამხედველობის უფლებამოსილება ხორციელდება სახელმწიფო დაწესებულებისათვის განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებაზე, რომლის დელეგირებაც ხდება მუნიციპალიტეტებისათვის. „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონი სამინისტროს უფლებამოსილებად ითვალისწინებს მხოლოდ სანიტარიული დაცვის ზონების პროექტის დადგენაში მონაწილების მიღებას (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროსთან, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციასთან და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად) და სანიტარიული დაცვის ზონების სანიტარიულ დახასიათების შემუშავებას. შესაბამისად, სანიტარული დაცვის ზონების საზღვრების დაფიქსირების მუნიციპალიტეტისათვის დელეგირების პროცესზე დარგობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვერ იქნება მოაზრებული, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, კოდექსი დარგობრივ ზედამხედველობის განმახორციელებელ უწყებად საზღვრავს იმ უწყებას, რომლის მიერაც ხორციელდება ფუნქციის მუნიციპალიტეტებზე დელეგირება, რაც გულისხმობს კიდეც ფუნქციის შესრულებაზე დარგობრივ ზედამხედველობას - მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების კანონიერ და ჯეროვან განხორციელების კონტროლს.

აქვე, აღვნიშნავთ, რომ სამინისტრო გამოთქვამს მზაობას ჩაერთოს პროექტის ავტორებთან ერთად შემოთავაზებული პროექტების შემდგომი განხილვის პროცესში.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი

თამარ გაბუნია